სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
03.07.2017 წ. № 133
თბილისი

სტუ-სა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი ბაკალავრიატის პროგრამების სტუდენტებისათვის 2016-2017 სასწავლო წლის ზაფხულის სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს დეკანის, ბატონი კენეტ უოლშის 2017 წლის 08 ივნისის № SDSU 078-06-2017 წერილისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ივნისის №2468 დადგენილების საფუძველზე, 2016-2017 სასწავლო წლის ზაფხულის სემესტრის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი) 2016-2017 სასწავლო წლის ზაფხულის სემესტრი ჩატარდეს 2017 წლის 04 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით.
2. აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია, სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.), დასკვნითი და დამატებითი გამოცდები დაინიშნოს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად.
3. სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (შემდგომში – ელექტრონული უწყისი) სტუდენტთა დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის შედეგები შეიტანოს შეფასების/გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღის განმავლობაში (17 საათამდე).
4. სემესტრის ბოლოს, არა უგვიანეს დამატებითი გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა, სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი აკადემიურ დეპარტამენტში ელექტრონული უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს. დეპარტამენტის სპეციალისტი მოახდენს უწყისის რეგისტრაციას და არსებული წესის მიხედვით გადასცემს დეკანატს.
5. დაევალოს ფაკულტეტის დეკანს:
სემესტრის დამთავრებიდან ორი კვირის ვადაში სწავლების დეპარტამენტში წარადგინოს

მოხსენებითი ბარათი სემესტრის ჩატარების, საბოლოო შედეგებისა და სტუდენტთა შეფასებების უწყისების რეგისტრაციის დასრულების შესახებ, აგრეთვე სტუდენტთა რეიტინგული სია.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე) და სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტს (გ. აბრამიშვილი).
7. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი *გ. მაისურაძე*